

სისიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“
პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის
მსმენელთა შეფასების მეთოდოლოგია

1. პროფესიული მოზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებისა და ტრენინგ-კურსების მსმენელთა შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - სწავლის შედეგი დადასტურდა;
 - სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
2. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებიდან 5 სამუშაო დღეში ერთჯერადად.
3. პროგრამის დასრულებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი/ინსტრუქტორი, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორთან/ხარისხის მართვის მენეჯერთან/შესაბამის პასუხისმგებელ პირთან შეთანხმებით განსაზღვრავს განმეორებითი შეფასების თარიღს. აღნიშნულ ვადაში მსმენელის მიერ 1 (ერთი) მცდელობის მიუხედავად სწავლის შესაბამისი შედეგის მიუღწევლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მსმენელს არ ენიჭება კვალიფიკაცია და მასზე არ გაიცემა - სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი, რომელიც ადასტურებს პირის მიერ პროფესიული მოზადების პროგრამით ან პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის, აგრეთვე ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევას.
4. სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდება პროფესიული მოზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებისა და ტრენინგ-კურსების შესაბამისად. შეფასება შესაძლებელია როგორც ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს, ასევე პროგრამის დასრულებისას.
5. იმ პროფესიული მოზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებში და ტრენინგ-კურსებში, რომლის ზოგიერთი სწავლის შედეგი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (სასწავლო საწარმოში/კომპანიაში) მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებას ახორციელებს პარტნიორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი ინსტრუქტორი.
- 5¹. პროფესიული მოზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებისა და ტრენინგ-კურსების დისტანციური სწავლების ფორმით განხორციელების შემთხვევაში, სწავლის შედეგების მიღწევა და შეფასება განხორციელდება კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
6. შეფასება ფიქსირდება აღრიცხვის ჟურნალის ბოლო გვერდზე.
7. კოლეჯი უფლებამოსილია შეინახოს შეფასების მტკიცებულებები.
- 7¹. პროფესიული მოზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებისა და ტრენინგ-კურსების დისტანციური სწავლების ფორმით განხორციელების შემთხვევაში, მიღწეული სწავლის შედეგებისა და შეფასების მტკიცებულებების შენახვა განხორციელდება ელექტრონული/მატერიალური სახით.
8. პროფესიული მოზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების წარმატებით დასრულების შემთხვევაში გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი.